



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შეესაბამება ევროკავშირში მოქმედ სტანდარტებს და მარეგულირებელ მოთხოვნებს, თუმცა შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სხვა ქვეყნებში მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახელწოდება : ვივოლტი / Vivolt

სინონიმები : ტრენდი ® 90

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

ნივთიერების/პრეპარატის გამოყენება : ზედაპირულად აქტიური ნივთიერება

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

კომპანია	: ოოო „დიუპონ ნაუკა & ტექნოლოგი“ კრილატსკაიას ქუჩა 17, კორ. 3 121614 მოსკოვი, რუსეთი	ООО «Дюпон Наука и Технологии» ул. Крылатская, 17, кор. 3 121614 Москва, Россия
----------	--	---

ტელეფონი : +7 (495) 797 2200

ფაქსი : +7 (495) 797 2203

1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

გადაუდებელი დახმარების ნომერი : პროდუქტის შესახებ ტოქსიკოლოგიური ცენტრების მიერ მოთხოვნილი ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობა, განისაზღვრება ევროპარლამენტის და ევრო საბჭოს (EC) 121272/2008 რეგულაციისა და ეროვნული სამართლის ნორმების შესაბამისად.

: +1-703-253-4236 (CHEMTREC)

პარაგრაფი 2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციის (EU) No. 1272/2008 [CLP] შესაბამისად

მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 4	H302: მავნეა გადაყლაპვისას.
თვალის სერიოზული დაზიანება, კატეგორია 1	H318: თვალში მოხვედრისას იწვევს შეუქცევად შედეგებს.

2.2 ეტიკეტის ელემენტები

ეტიკეტირება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციის (EU) 1272/2008 (CLP) შესაბამისად



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019



სამიშია

H302 მავნეა გადაყლაპვისას.
H318 თვალში მოხვედრისას იწვევს შეუქცევად შედეგებს.
H410 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

სპეციალური ნივთიერების ან ნარევის განსაკუთრებული მარკირება EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია გამოყენების ინსტრუქციის დაცვა.

P264 გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად ჩამოიბანეთ კანი.
P270 არ ჭამოთ, არ დალიოთ ან არ მოწიოთ გამოყენების დროს.
P280 გამოიყენეთ ხელთათმანი/თვალის/სახის დამცავი საშუალებები.
P305 + P351 + P338 თვალში მოხვედრისას: ფრთხილად გამოირეცხეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელეთ გამორეცხვა.
P310 სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

P501 შიგთავსის უტილიზაცია მოახდინეთ ნარჩენების განადგურების დადგენილი წესების მიხედვით ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

P501 პროდუქტის ტარის უტილიზაცია მოახდინეთ შესაბამისი ნებართვის მქონე ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანაში ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ეტიკეტირება ევროკავშირის EU 67/548/EEC ან 1999/45/EC დირექტივების შესაბამისად.

SP 1 არ დააბინძუროთ წყლები ამ პროდუქტით ან მისი ტარით (არ გაწმინდოთ გამოყენებული მოწყობილობა ზედაპირული წყლის სიახლოვეს / თავიდან აიცილეთ ფერმებიდან და გზებიდან სადრენაჟე სისტემებით დაბინძურება).

2.3. სხვა რისკები

ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც არის მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT).
ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც არის ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.1. ნივთიერებები

არ ექვემდებარება შევსებას.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

3.2. ნარეგები

კლასიფიკაცია 67/548/EEC დირექტივის შესაბამისად	კლასიფიკაცია რეგულაციის (EU) No. 1272/2008 [CLP] შესაბამისად	კონცენტრაცია
---	---	--------------

პოლიეთილენის მონოზოდეცილის ეთერი (CAS-ნომერი. 61827-42-7)

Xn;R22 Xi;R41	მწვავე ტოქს. 4; H302 თვალის დაზ. 1; H318	90 %
------------------	---	------

ამ პარაგრაფში მითითებული რისკის (R) ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში
ამ პარაგრაფში მითითებული რისკის ფაქტორების ფორმულირებების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

- ზოგადი რჩევა : უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი. ტოქსიკოლოგიურ ცენტრში, ექიმთან ან ნებისმიერ სხვა სამედიცინო დაწესებულებაში სამკურნალოდ მიმართვისას, აუცილებლად თან იქონიეთ პროდუქტის ტარა ან ეტიკეტი.
- ჩასუნთქვისას : დაზარალებული გადაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. ძლიერი ზემოქმედების შემდეგ მიმართეთ ექიმს. შეიძლება საჭირო გახდეს ხელოვნური სუნთქვის ჩატარება და / ან ჟანგბადის მიწოდება.
- კანზე მოხვედრისას : დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საპნითა და დიდი რაოდენობის წყლით. კანის გაღიზიანების ან ალერგიული რეაქციების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე.
- თვალში მოხვედრისას : მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. ფართოდ გახსენით თვალები და ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ თვალის გაღიზიანება ნარჩუნდება, მიმართეთ სპეციალისტს.
- კუჭში მოხვედრისას : დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს. არ გამოიწვიოთ ღებინება ექიმის მითითების გარეშე. თუ დაზარალებულს გრძნობა არა აქვს დაკარგული: პირის ღრუ გამოირეცხეთ წყლით. დალიეთ 1 ან 2 ჭიქა წყალი.

4.2. ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

- სიმპტომები : ადამიანის ინტოქსიკაციის შემთხვევები არ არის ცნობილი, ექსპერიმენტის პირობებში ინტოქსიკაციის სიმპტომები არ არის ცნობილი.

4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება

- მკურნალობა : სიმპტომური მკურნალობა.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

პარაგრაფი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : წყლის ჭავლი, მშრალი ქიმიკატები, ქაფი, ნახშირორჟანგი (CO₂)

ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები : წყლის ძლიერი ჭავლი, (დაბინძურების რისკი)

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრის ჩაქრობის დროს : ხანძრის პირობებში წარმოქმნილი საშიში დაშლის პროდუქტები: ნახშირბადის დიოქსიდი (CO₂), აზოტის ოქსიდები (NOx)

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისთვის : ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი და გამოიყენეთ სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

დამატებითი ინფორმაცია : არ დაუშვათ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლით ზედაპირული წყლების ან გრუნტის წყლების დაბინძურება. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე ჭურჭელში. აკრძალულია ასეთი წყლის საკანალიზაციო სისტემაში ჩაღვრა. ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

: (მცირე ხანძრების დროს) თუ ტერიტორია ძლიერ მოიცვა ხანძარმა და პირობები იძლევა საშუალებას, ხანძარს მიეცით თვითჩაქრობის საშუალება, ვინაიდან წყალმა შეიძლება გაზარდოს დაბინძურების ზონა. გააგრძელეთ კონტეინერები/ავზები წყლის ჭავლით.

პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

პირადი უსაფრთხოების ზომები : გააკონტროლეთ ტერიტორიაზე დაშვება. პერსონალი გაარიდეთ დაღვრის/გაფანტვის ადგილსა და ქარპირა მხარეს. გაანიავეთ პრეპარატის დაღვრის ადგილი. მიიღეთ უსაფრთხოების ზომები სტატიკური ელექტრობის განმუხტვის წინააღმდეგ. თავიდან აიცილეთ კანზე, თვალზე და ტანსაცმელზე მოხვედრა. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. იხილეთ მე-7 და მე-8 პარაგრაფებში ჩამოთვლილი დამცავი ღონისძიებები.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები : გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ შესაბამისი კონტეინერი. შეაჩერეთ შემდგომი გაფონვა ან დაღვრა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

არ ჩაღვართ ზედაპირულ წყლებში ან საკანალიზაციო სისტემებში. არ ჩაღვართ ზედაპირულ წყლებსა და კანალიზაციის სისტემაში. არ დაუშვათ პრეპარატი მიწისქვეშა წყლის სისტემის დაბინძურება. თუ მასშტაბური დაღვრის შეჩერება ვერ ხერხდება, შეატყობინეთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. თუ ნივთიერების დაღვრის ადგილი ფოროვანია, დაბინძურებული მასალა უნდა შეგროვდეს შემდგომი დამუშავების ან უტილიზაციის მიზნით. თუ პროდუქტმა დააბინძურა მდინარეები და ტბები ან საკანალიზაციო სისტემები აცნობეთ შესაბამის ორგანოებს.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

- დასუფთავების მეთოდები : დასუფთავების მეთოდები – უმნიშვნელო გაჟონვა: ამოაშრეთ ინერტული მშთანთქმელი მასალით. გაფანტული პროდუქტი მოწმინდეთ ან მოაგროვეთ მტვერსასრუტით და მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში უტილიზაციისთვის.
დასუფთავების მეთოდები — მასშტაბური გაჟონვა: შეაჩერეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა. მოახდინეთ დაღვრილი პრეპარატის ლოკალიზაცია, შეაგროვეთ ინერტული არააალებადი მშთანთქმელი მასალებით (მაგალითად, სილა, მიწა, დიატომური მიწა, ვერმიკულატი) და გადაიტანეთ სპეციალურ კონტეინერში ადგილობრივი/ ეროვნული რეგულაციების შესაბამისად უტილიზაციისთვის (იხ. პარაგრაფი 13). დიდი მოცულობის დაღვრილი პრეპარატი უტილიზაციისთვის უნდა შეგროვდეს მექანიკური გზით (ამოტუმბვით). გადმოღვრილი სითხე მოათავსეთ ჰერმეტიკულ კონტეინერებში (მეტალის/პლასტმასის). შეაგროვეთ დაბინძურებული აბსორბენტი და განათავსეთ უტილიზაციისთვის.
- სხვა ინფორმაცია : დაღვრილი/დაფრქვეული პრეპარატი არასდროს დააბრუნოთ ქარხნულ ტარაში ხელმეორედ გამოყენების მიზნით. უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ინდივიდუალური დაცვის ზომების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში. უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციები იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

პარაგრაფი 7. მოხმარება და შენახვის პირობები

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები პროდუქტის გამოყენების დროს

- უსაფრთხო გამოყენების რჩევები : გამოიყენეთ მხოლოდ ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისად. ატარეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. პირადი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში. გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა აპარატურა. უზრუნველყავით სათანადო განიავება. არ შეისუნთქოთ მტვერი ან შედეგები. პროდუქტის ტარის გახსნისას არ შეისუნთქოთ გამოყოფილი ორთქლი. სამუშაო ხსნარი მოამზადეთ, როგორც ეს მითითებულია ეტიკეტ(ებ)ზე და/ან მომხმარებლის ინსტრუქციებზე. სამუშაო ხსნარი გამოიყენეთ მომზადებისთანავე – არ შეინახოთ.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

მუშაობის დროს ხსნარის გადმოღვრის თავიდან ასაცილებლად ბოთლი შეინახეთ მეტალის სადგარზე. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები. გაიხადეთ და გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმლის ხელმეორედ გამოყენებამდე. არასოდეს დააბრუნოთ გამოუყენებელი პრეპარატი რეზერვუარში – საწყობში. არ დაუშვათ მითითებული ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციების გადაჭარბება (იხ. პარაგრაფი 8).

აალებისა და აფეთქების საწინააღმდეგო მითითებები : შეინახეთ სითბოსა და აალების წყაროებისაგან შორს. მიიღეთ სათანადო ზომები სტატიკური ელექტრობის განმუხტვის თავიდან ასაცილებლად (რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ორგანული გამხსნელების ანაორთქლის აალება). სტატიკური ელექტრობის განმუხტვის გამო ორთქლის შესაძლო აალების ასაცილებლად, აუცილებელია დანადგარების ყველა მეტალის ნაწილის დამიწება.

7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

სასაწყობე სივრცესთან და ტარასთან დაკავშირებული მოთხოვნები : შეინახეთ მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. შეინახეთ ქარხნულ შეფუთვაში. შეინახეთ სათანადოდ მარკირებულ კონტეინერებში. კონტეინერები შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურული მშრალ, გრილ და კარგად განიავებად ადგილზე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ფურაჟისგან შორს.

რჩევები შერეულ დასაწყობებაზე : შეინახეთ დამუხანგველი ნივთიერებებისგან შორს.

შენახვის ტემპერატურა : 5 - 50 °C

სხვა მონაცემები : სტაბილურია რეკომენდებულ პირობებში შენახვისას.

7.3. განსაკუთრებული საბოლოო გამოყენების სფეროები

მონაცემები არ არის.

პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1. კონტროლის პარამეტრები

თუ ეს ქვეპარაგრაფი ცარიელია, ამ შემთხვევაში მონაცემები არ გამოიყენება.

8.2. ექსპოზიციის კონტროლი

საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები : უზრუნველყავით სათანადო განიავება, განსაკუთრებით შეზღუდულ სივრცეებში. გამოიყენეთ საკმარისი განიავება, დასაქმებულებზე ექსპოზიციის რეკომენდებული ზღვრების ქვემოთ შესანარჩუნებლად.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

- თვალეების დაცვა : უსაფრთხოების სათვალეები გვერდითი ფარებით, რომელიც შეესაბამება EN166 სტანდარტს.
- ხელეების დაცვა : მასალა: ნიტრილური რეზინი
 ხელთათმნის სისქე: 0,3 მმ
 ხელთათმნის სიგრძე: ხელთათმანი კრაგებით
 დაცვის ინდექსი: მე-6 კლასი
 გაცვეთის დრო : > 480 წთ
 შერჩეული დამცავი ხელთათმანი უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის EC 2016/425 რეგულაციის ტექნიკურ მახასიათებლებს და მისგან მიღებულ სტანდარტს EN374. დაიცავით მასალის გამტარობის და მასალის გარღვევის დროის (გაცვეთის დრო) შესახებ მომწოდებლის მიერ დადგენილი მითითებები. ასევე მხედველობაში მიიღეთ კონკრეტული ადგილობრივი პირობები, რომლის დროსაც გამოიყენება პროდუქტი, ასევე გაჭრის საშიშროება, აბრაზიული ცვეთა და კონტაქტის დრო. კონკრეტულ სამუშაო პირობებში გამოყენების ვარგისიანობა უნდა განიხილოთ დამცავი ხელთათმნის მწარმოებელთან. ხელთათმანი უნდა შემოწმდეს გამოყენებამდე. ხელთათმანები უნდა გადაიყაროს ან შეიცვალოს თუ შეინიშნება მთლიანობის დარღვევის ან ქიმიური შეღწევადადობის ნიშნები. სანამ გაიხდით ხელთათმანები გარეცხეთ საპნითა და წყლით.
- კანის და სხეულის დაცვა : პროდუქტის წარმოება და დამუშავება: სრული დამცავი სპეცტანსაცმელი ტიპი 6 (EN 13034).

 შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 6 (EN 13034). რეზინის ან პოლიეთილენის ჩექმები.

 შესხურებით შეწამვლა – ღია სივრცეში: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი, ტიპი 4 (EN 14605). რეზინის ან პოლიეთილენის ჩექმები.
- დამცავი ღონისძიებები : დამცავი აღჭურვილობის ტიპი უნდა შეირჩეს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საშიში ნივთიერების კონცენტრაციისა და რაოდენობის გათვალისწინებით. ყველა ქიმიური ინდივიდუალური დაცვის საშუალება გამოყენებამდე აუცილებლად უნდა შემოწმდეს ვიზუალურად. დამცავი ტანსაცმელი და ხელთათმანი უნდა შეიცვალოს ქიმიური ან ფიზიკური დაზიანების, ან დაბინძურების შემთხვევაში.
- ჰიგიენური მოთხოვნები : გამოიყენეთ სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების შესაბამისად. რეგულარულად გაწმინდეთ აღჭურვილობა, სამუშაო ადგილი და ტანსაცმელი. სამუშაო ტანსაცმელი შეინახეთ ცალკე. დაბინძურებული ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ზონიდან. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და სახე. გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დალევა ან თამბაქოს მოწევა. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისაგან შორს. გაიხადეთ ტანსაცმელი/ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, თუ პროდუქტი შეაღწევს შიგნით. სამუშაოს დამთავრებისთანავე მიიღეთ შხაპი.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

ნარეცი წყლის გაუვნებლობა მოახდინეთ ადგილობრივი და ეროვნული წესების შესაბამისად.

სასუნთქი გზების დაცვა : წარმოება და დამუშავება: ნახევარნიღაბი ორთქლის საწინააღმდეგო ფილტრით A1 (EN 141).

შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: ნახევარნიღაბი ორთქლის საწინააღმდეგო ფილტრით A1 (EN 141).

შესხურებით შეწამლა – ღია სივრცეში: ჩვეულებრივ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.

პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

- ფორმა : სითხე
- ფერი : უფერო
- სუნი : მსუბუქი
- სუნის შეგრძნების ზღვარი : არ არის განსაზღვრული
- pH : 5-7 10 გ/ლ დროს (20 °C) (წყალხსნარის სახით)
- ლღობის ტემპერატურა/დიაპაზონი : არ გამოიყენება
- დუღილის ტემპერატურა/დუღილის დიაპაზონი : არ გამოიყენება
- აალების ტემპერატურა : 130 - 199 °C
- თვითდაჩქარებული დაშლის ტემპერატურა (SADT) : მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
- აალებადობა (მყარი, გაზი) : მონაცემები არ არის ხელმსაწვდომი
- ანთების ტემპერატურა : მონაცემები არ არის ხელმსაწვდომი
- დაშლის ტემპერატურა : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- დამჟანგავი თვისებები : პროდუქტი არ არის დამჟანგავი.
- ფეთქებადი თვისებები : არ არის ფეთქებადსაშიში
- აფეთქების ქვედა ზღვარი/აალების ქვედა ზღვარი : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- აფეთქების ზედა ზღვარი/აალების ზედა ზღვარი : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- ორთქლის წნევა : < 1,33 კპა 20 °C-ზე
- სიმკვრივე : 1,0 გ/სმ³ 25 °C-ზე
- ფარდობითი სიმკვრივე : 1 20 °C-ზე
- მოცულობითი სიმკვრივე : მონაცემები არ არის ხელმსაწვდომი
- წყალში ხსნადობა : სრულად ხსნადი
- განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი/წყალი : არ გამოიყენება



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

- თვითაალების ტემპერატურა : > 100 °C
- სხვა გამხსნელებში ხსნადობა : მონაცემები არ არის ხელმსაწვდომი
- სიბლანტე, დინამიკური : 75 მპა-წმ 20 °C-ზე
- სიბლანტე, კინემატიკური : 75 მმ²/წმ 20 °C-ზე
- ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე : მონაცემები არ არის ხელმსაწვდომი
- აორთქლების სიჩქარე : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

9.2. სხვა ინფორმაცია

სხვა მონაცემები სპეციალურად არ არის გათვალისწინებული.

პარაგრაფი 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

- 10.1. რეაქტიულობა** : განსაკუთრებული საფრთხეები არ არის.
- 10.2. ქიმიური მდგრადობა** : აღნიშნული პროდუქტი ქიმიურად სტაბილურია შენახვის, გამოყენების და ტემპერატურის რეკომენდებული პირობებისა დროს.
- 10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა** : ნორმალურ პირობებში გამოიყენებისას სახიფათო რეაქციები არ არის ცნობილი. პოლიმერიზაცია არ მოხდება, არ იშლება მითითებული წესების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს.
- 10.4. ასარიდებელი გარემოებები:** : ტემპერატურა: >50°C ტემპერატურა: >5°C
- 10.5. შეუთავსებელი მასალები/ნივთიერებები** : შეუთავსებელია დამჟანგველ აგენტებთან.
: არ არის განსაკუთრებული მასალები/ნივთიერებები.
- 10.6. საშიში დაშლის პროდუქტები**

პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა

LD50 / ვირთაგვები, მდედრი : > 1 718 მგ/კგ
მეთოდი: US EPA TG OPP 81-1
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

LD50 / კურდღელი : > 2 020 მგ/კგ
მეთოდი: US EPA TG OPP 81-2
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

კანის გაღიზიანება
კურდღელი



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

შედეგი: არ აღიზიანებს კანს.
მეთოდი: US EPA TG OPP 81-5
ექსპოზიციის დრო 72 სთ
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

თვალის გაღიზიანება

კურდღელი
შედეგი: თვალის ძლიერი გაღიზიანების რისკი.
მეთოდი: US EPA TG OPP 81-4.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

სასუნთქი გზების ან კანის სენსიბილიზაცია

ზღვის გოჭი.
შედეგი: ცხოველებზე ტესტირების დროს, კანზე კონტაქტით არ იწვევს გაღიზიანებას.
მეთოდი: US EPA TG OPP 81-6
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

განმეორებითი დოზების ტოქსიკურობა

პერორალური – ზონდით კვება, ვირთაგვა
ზემოქმედების დრო: 28 დღე
მეთოდი: ტესტი OECD-ის 407 სახელმძღვანელო პრინციპებით.
მნიშვნელოვანი ტოქსიკოლოგიური ზემოქმედება არ გამოვლენილა. ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

მუტაგენური თვისებების შეფასება

- პოლოქსიეთილენის მონოზოდეცილის ეთერი ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა არ გამოავლინა მუტაგენური მოქმედება. მონაცემთა ერთობლიობა გვიჩვენებს, რომ ნივთიერება არ არის მუტაგენური.

ონკოგენურობის განსაზღვრა

- პოლოქსიეთილენის მონოზოდეცილის ეთერი არ არის კლასიფიცირებული როგორც ადამიანის მიმართ კანცეროგენული. მონაცემთა ერთობლიობა გვიჩვენებს, რომ ნივთიერება არ არის კანცეროგენული.

რეპროდუქციაზე ტოქსიკური ზემოქმედების შეფასება

- პოლოქსიეთილენის მონოზოდეცილის ეთერი გამრავლების ფუნქციაზე ტოქსიკური ზემოქმედება არ არის. არ მოქმედებს ლაქტაციაზე.

ტერატოგენური მოქმედების შეფასება

- პოლოქსიეთილენის მონოზოდეცილის ეთერი ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევების დროს განვითარებაზე ტოქსიკური ზემოქმედება არ გამოვლენილა.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

სპეციფიური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკურობა (STOT) – (ერთჯერადი ექსპოზიცია)

ნივთიერება ან ნარევი არ მიეკუთვნება სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური ნივთიერებების კლასს, ერთჯერადი ექსპოზიციის დროს.

სპეციფიური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკურობა (STOT) – განმეორებითი ექსპოზიცია

ნივთიერება ან ნარევი არ მიეკუთვნება სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური ნივთიერებების კლასს, განმეორებითი ექსპოზიციის დროს.

ასპირაციის საფრთხე

ნარევეს არ გააჩნია თვისებები, რომლებიც უკავშირდება ასპირაციის საფრთხის წარმოქმნას შესაძლებლობას.

პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა

თევზების მიმართ ტოქსიკურობა

LC50 / 96 სთ / *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი): 42 მგ/ლ
ეს ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი პროდუქტისგან მიღებულ მონაცემებს.
ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

წყალმცენარეების მიმართ ტოქსიკურობა

- პოლოქსიეთილენის მონოიზოდეცილის ეთერი
NOEC / 72 სთ/ *Desmodesmus subspicatus* (მწვანე წყალმცენარეები): 10 მგ/ლ
ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

წყლის უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა

EC50 / 48 სთ/ *Daphnia* (წყლის რწყილი): 40 მგ/ლ
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

14 დღე / *Eisenia fetida* (ჭიაყელები): > 1 000 მგ /კგ ნიადაგი.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

ბიოდეგრადაცია: > 70 %
მეთოდი: OECD TG 301
სწრაფად იშლება. მოწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი

ბიოაკუმულაცია



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

არ განიცდის სრულ ბიოაკუმულაციას. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებისათვის მიღებულ მონაცემებს.

12.4. მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

მობილურობა ნიადაგში
მოსალოდნელი არ არის, რომ პროდუქტს ექნება ნიადაგში მობილურობის უნარი.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

PBT და vPvB შეფასება
ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც არის მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). / ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც არის ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

12.6. სხვა არასასურველი ეფექტები

დამატებითი ეკოლოგიური ინფორმაცია

სხვა ეკოლოგიურ ზემოქმედებაზე მონაცემები კონკრეტულად არ არის გათვალისწინებული.
დამატებითი გამოყენების ინსტრუქციები, რომელიც ეხება გარემოს დაცვას იხილეთ პროდუქტის ეტიკეტზე.

პარაგრაფი 13. განკარგვა/უტილიზაცია

13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები

პროდუქტი : ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს შესაბამის ინსენერატორში, რომელსაც აქვს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა. ნარევი წყალი გააუვნებელყოფთ როგორც თხევადი ნარჩენი. ნუ დაბინძურებთ ტბორებს, წყალსავალი გზებსა და თხრილებს ქიმიური ნივთიერებით ან პროდუქტის გამოყენებული ტარით.

დაბინძურებული ტარა : დაუშვებელია ცარიელი ტარის ხელმეორედ გამოყენება.

პარაგრაფი 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

ADR

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: არ გამოიყენება
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: არ გამოიყენება
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: არ გამოიყენება
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: არ გამოიყენება
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: არ არის
- 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:
უსაფრთხო ტვირთი საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციების ADR/RID, ADN, IMDG-Code, ICAO/IATA-DGR ნორმების თანახმად



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

IATA_C

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: არ გამოიყენება
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: არ გამოიყენება
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: არ გამოიყენება
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: არ გამოიყენება
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: არა

14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:

საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციის ADR/RID, ADN, IMDGCode, ICAO/IATA-DGR ნორმების თანახმად წარმოადგენს უსაფრთხო ტვირთს.

IMDG

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: არ გამოიყენება
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: არ გამოიყენება
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: არ გამოიყენება
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: არ გამოიყენება
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: არა

14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის

14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად

(დაუფასოებელი საშიში ქიმიური ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო კოდექსი)

არ გამოიყენება.

პარაგრაფი 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა

დიდი ავარიების რისკებთან დაკავშირებული კანონმდებლობა

სავესო III: ევროპარლამენტის და საბჭოს 2012/18 / EU დირექტივა, საშიში ნივთიერებებით გამოწვეული დიდი ავარიების კონტროლის შესახებ.

რაოდენობა: 100 ტ, 200 ტ

სხვა რეგულაციები:

პროდუქტი კლასიფიცირდება, როგორც საშიში, ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No.1272/2008 შესაბამისად.

გაითვალისწინეთ 94 /33 / EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ახალგაზრდების დაცვის შესახებ.

გაითვალისწინეთ 92/85/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ორსულთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.

გაითვალისწინეთ 98/24/EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

გაითვალისწინეთ 96/82/EC დირექტივა საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებული დიდი ავარიების საშიშროების კონტროლის შესახებ.

გაითვალისწინეთ 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია.

აღნიშნული პროდუქტი სრულად შეესაბამება REACH 1907/2006/EC რეგლამენტის მოთხოვნებს.

პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

რისკის ფრაზების სრული ტექსტი, რომელიც მოცემულია მე-3 პარაგრაფში

R22 მავნეა გადაყლაპვისას.
R41 თვალის სერიოზული დაზიანების რისკი.

მე-3 პარაგრაფში მითითებული რისკის ფაქტორების ფორმულირებების სრული ტექსტი.

H302 მავნეა გადაყლაპვისას.
H318 თვალში მოხვედრისას იწვევს შეუქცევად შედეგებს.

დამატებითი ინფორმაცია პროფესიული გამოყენებისთვის

აბრევიატურები და აკრონიმები

ADR	ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ
ATE	მწვავე ტოქსიკურობის დადგენა
CAS-No.	ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სამსახურის საიდენტიფიკაციო ნომერი
CLP	კლასიფიკაცია, მარკირება და შეფუთვა
Ebc50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება ბიომასის 50% შემცირება
EC50	საშუალო ეფექტური კონცენტრაცია
EN	ევროპული ნორმა
EPA	გარემოს დაცვის სააგენტო
ErC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც ვლინდება ზრდის ტემპის 50%-იანი ინჰიბირება
EyC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც ვლინდება მოსავლიანობის 50%-იანი ინჰიბირება
IATA_C	საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია (ტვირთის გადაზიდვა)
IBC კოდი	შეუფუთავი ქიმიკატების გადაზიდვის საერთაშორისო კოდექსი
ICAO	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMDG	საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთები
LC50	საშუალო ლეტალური კონცენტრაცია
LD50	საშუალო ლეტალური დოზა



ვივოლტი

საცნობარო ნომერი: 130000000224
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი: 24.01.2019
გამოცემის თარიღი: 27.03.2019

LOEC	უმცირესი კონცენტრაცია, რომელზეც აღინიშნება ეფექტი.
LOEL	უმცირესი დონე, რომელზეც აღინიშნება ეფექტი.
MARPOL	საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.
n.o.s.	სხვაგვარად მითითებული არ არის
NOAEC	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების კონცენტრაცია
NOAEL	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების დონე
NOEC	არაეფექტური კონცენტრაცია
NOEL	არაეფექტური დოზა ან ექსპოზიციის დონე
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OPPTS	პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი.
PBT	მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური
STEL	მოკლევადიანი ექსპოზიციის ზღვარი
TWA	დროში გასაშუალოებული ზემოქმედება
vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი

შემდგომი ინფორმაცია

გამოყენებამდე გაეცანით „დუპონის“ მიერ მოწოდებულ უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას.
ყურადღება მიაქციეთ ეტიკეტზე მითითებულ გამოყენების ინსტრუქციას.

^(R) დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი „ე.ი. დუპონ დე ნემური ენდ კომპანი“ (E.I. du Pont de Nemours and Company)

შენიშვნა: ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-11 და მე-12 პარაგრაფებში მოცემული კომპონენტების შესახებ ინფორმაცია, ტექნიკური პროგრესის და ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე, რიგ შემთხვევაში შეიძლება არ შეესაბამებოდეს იურიდიულად სავალდებულო კლასიფიკაციას

წინა ვერსიიდან მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნული არის ორმაგი ზოლით.

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში გამოყვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხლება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ პრეპარატს (-ებს) და შეიძლება არ იყოს სარწმუნო პრეპარატ(ებ)ისათვის რომელიც გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ნაზავში ან რაიმე ტექნოლოგიურ პროცესში, ან, თუ პრეპარატი შეცვლილია ან დამუშავებული და ეს არ არის მითითებული ტექსტში.